„გენერალი გიორგი კვინიტაძე - გაცოცხლებული ისტორია“

„გენერალი გიორგი კვინიტაძე - გაცოცხლებული ისტორია“ - ამ სახელწოდების გამოფენა გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში. ღონისძიებაზე ქართველ საზოგადოებას გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი სამოსი - გენერლის მუნდირი, ორი სამხედრო ფარაჯა, ჩოხა და ახალუხი, ქალიშვილის - ნანო კვინიტაძის ეროვნული კაბა, ასევე სამხედრო მოღვაწის ხელნაწერები, ხატი და ხმოვანი ჩანაწერები პირველად წარედგინება. გამოფენა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ღონისძიებაზე სიტყვით საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე გამოვლენ.

გამოფენას დაესწრებიან დამოუკიდებლობის დღისთვის საქართველოში სპეციალურად ჩამოსული ემიგრანტები, რომელთა შორის გენერალ კვინიტაძის შთამომავლებიც არიან.

ღონისძიებაზე საზოგადოებას წარედგინება ვიდეორგოლიც, სადაც საუბარია საქართველოს ისტორიაში გენერლის როლსა და მისი პიროვნების შესახებ, ასევე პროექტის განხორციელების პროცესზე.

გენერლის სამოსის აღდგენის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით განხორციელდა.

2007 წელს საფრანგეთში მცხოვრებმა კვინიტაძის ქალიშვილმა, ნანომ, გენერლის პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა. 2014 წელს გენერალ კვინიტაძის სამოსის კოლექციის აღდგენის პროცესში ახალგაზრდა კალიგარფები ჩაერთნენ. მათ უნიკალური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვით შეძლეს გარკვეული თანხის მობილიზება, რაც

კოლექციის მცირე ნაწილის აღდგენას მოხმარდა, რის შემდეგაც გენერალ კვინიტაძის სრული კოლექციის რესტავრაციის საკითხში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო და პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა სრულად საკუთარ თავზე აიღო.

გენერალ კვინიტაძის სამოსის კოლექცია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. სარესტავრაციო სამუშაოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის ჯგუფის წევრებმა - ნინო სოხაშვილმა, მეგი ხუბულურმა, მანანა პაპიძემ და ნანა ჯავშანაშვილმა 6 თვის განმავლობაში ჩაატარეს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, გენერალ კვინიტაძის აღდგენილი სამოსი ერთი წლით თავდაცვის სამინისტროში განთავსდება, მოგვიანებით კი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გიორგი კვინიტაძის სახელობის კაბინეტში გადაინაცვლებს და ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნისას მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება.

ღონისძიების სტუმრებს საჩუქრად გიორგი კვინიტაძის „ჩემი მოგონებების“ ორტომეული გადაეცემათ. გენერლის მემუარული ნაწარმოების მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, წიგნი მესამედ გამოიცა.

ღონისძიებაზე წარდგენილ ვიდეორგოლსა და წიგნებში გამოყენებულია კალიგრაფ დავით მაიურაძის მიერ სპეციალურად შექმნილი გიორგი კვინიტაძის სახელობითი შრიფტი.